



საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის  
სამინისტრო

ბრძანება № 2-411

ქ. თბილისი

2-თვთა 27.11-97

სახელმწიფო ქონების პრივატიზებისა და იჯარით გაცემის  
თაობაზე შემოსული წინადადებების განმხილველი კომისიის  
1997 წლის 27 ნოემბრის სხდომის შედეგების შესახებ

აღინიშნოს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 13 ნოემბრის №717 დადგენილებით (თან ერთვის) სოფლის მეურნეობისა და სურსათის მრეწველობის და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროებთან ერთხანშიერთობით დაკმაყოფილდა ქ. თბილისის სახელმწიფო იპოდრომისა და ყულარის ცხენსაშენი გაერთიანების შრომითი კოლექტივის თხოვნა და მათ მიეცათ უფლება იჯარით გამოსყიდვის უფლებით აეღოთ გაერთიანების ბალანსზე რიცხული ქონება. შემდგომში სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ მოგვმართა თხოვნით აღნიშნულთან დაკავშირებით გამოგვეთქვა ჩვენი მოსაზრება (9.09.97წ. №04/106 წერილი თან ერთვის). სამინისტროში გაერთიანების ხელმძღვანელობასთან რამოდენიმე ვხის შეხვედრის შედეგად ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ ამ ეტაპზე უმჯობესია იჯარა-გამოსყიდვით გაიცეს გაერთიანების ბალანსზე რიცხული არა მხოლოდ, არამედ ნაწილი ქონება, რასაც ეთანხმება გაერთიანებაც (18.11.97წ. №64 წერილი თან ერთვის).

აღნიშნულზე იმსჯელა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სახელმწიფო ქონების პრივატიზებისა და იჯარით გაცემის თაობაზე შემოსული წინადადებების განმხილველი კომისიამ, რომლის 1997 წლის 27 ნოემბრის სხდომის (ოქმი №22) გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებული იქნას სამინისტროს სახელმწიფო ქონების პრივატიზებისა და იჯარით გაცემის თაობაზე შემოსული წინადადებების განმხილველი კომისიის წინადადება (1997 წლის 27 ნოემბრის სხდომის ოქმი №22) და მიზანშეწონილად რათავალოს თბილისის სახელმწიფო იპოდრომისა და ყულარის ცხენსაშენი გაერთიანების ბალანსზე რიცხული ქონების (გარდა მაყურებლის ტრიბუნის, საფენებელი წრის, თავლების და ღია მანეჟის) პრივატიზება იჯარა-გამოსყიდვის ფორმით (ოქმი თან ერთვის).



2. საკონკურსო პირობებად განისაზღვროს მოიჯარის მიერ საწარმოს არაფილის შენარჩუნება და სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი ობიექტების მართვის უფლებით აღება იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფს მათ უკუა-პატრონობას და არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ მიმდინარე შეკეთებას.

3. აგრარული რეფორმების დეპარტამენტმა /გ. გორდეზიანი/ კომისიის დაწესებულებისა და ამ ბრძანების შესასრულებლად მოამზადოს წერილი სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში წარსადგენად.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეს ბ-ნ გ. დიდბარიძეს.

მინისტრი *გ. გულუა*

მოამზადა: აგრარული რეფორმების დეპარტამენტმა

- შეთანხმებულია: გ. დიდბარიძე *[Signature]*
- გ. გორდეზიანი *[Signature]*
- რ. ნაჭყებია *[Signature]*
- შ. კიკალიშვილი *[Signature]*
- ი. ლომთათიძე *[Signature]*
- ქ. შენგელია *[Signature]*

დაეგზავნოს: აგრარული რეფორმის დეპარტამენტს;  
ადმინისტრაციულ დეპარტამენტს;  
ბ-ნ გ. დიდბარიძეს.

*[Handwritten signature]*  
  
*[Handwritten signature]*